დანართი No. 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური

ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუუნი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2023-10-23

საბოლოო დასკვნა

დასკვნის წარდგენის თარიღი

2023-12-17

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 21

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 23

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... 30

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404916203
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლენა ადამსონი, სტოკჰოლმის უნივერსიტეტი, სტოკჰოლმი, შვედეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია მაჭავარიანი-წერეთელი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მედეა დესპოტაშვილი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანი ქვათაძე ბაუ — ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე დოქტორანტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ფსიქოლოგია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია O313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/ შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია, ყოველი სასწავლო წელი დაყოფილია ორ სემესტრად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ფსიქოლოგიის ბაკალავრი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ნამდვილად აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის დარგის მოთხოვნებს და აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურა: ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსები/ მოდულები (არანაკლებ 120 ECTS კრედიტისა) და თავისუფალი კომპონენტი.

საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კურსები/ საგნები/ მოდულები - 112 კრედიტი
- ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო არჩევითი კურსები/საგნები/მოდულები - 34 კრედიტი.
- სავალდებულო კომპონენტი - 10 კრედიტი;
- საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი/არჩევითი – 10 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი კურსები/ საგნები/ მოდულები - 84 კრედიტი (მათ შორის 40 კრედიტი - სავალდებულო, 44 კრედიტი - არჩევითი)

პროგრამა განხორციელდება 31 აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით: 6 პროფესორი (4 აფილირებული), 9 ასოცირებული პროფესორი (6 აფილირებული), 3 ასისტენტ-პროფესორი (1 აფილირებული), 5 ასისტენტი (4 აფილირებული) და 8 არააფილირებული ლექტორი.
თვითშეფასების დოკუმენტი არ ასახავს რიცხვებს იმის შესახებ, თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმება წელიწადში. ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ წელიწადში 20 სტუდენტის მიღება იგეგმება, რაც მესამე წელს 60 სტუდენტს შეადგენს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი 2023 წლის 23 ოქტომბერს განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები ჩაატარა ადმინისტრაციულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და არააფილირებულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მსგავსი პროგრამების სტუდენტებთან, მსგავსი პროგრამების კურსდამთავრებულებთან და ხარისხის

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ობიექტების დათვალიერებისას გამოიკვეთა დაწესებულების ძირითადი რესურსები და შესაძლებლობები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1:

1.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2:

2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3:

3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2 -

სტანდარტი 4:

4.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2 –
4.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5:

5.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ზოგადად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს.
პროგრამის ბევრი მიზანი და სწავლის შედეგი რეალისტური და მიღწევადია, მაგრამ ისინი ბოლომდე არ ემთხვევა ერთმანეთს და ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით არ არის მკაფიოდ გამოხატული.
სასწავლო პროგრამის შინაარსის დიდი ნაწილი აქტუალურია, მაგრამ იგი ძალიან ბევრ სფეროს მოიცავს, ამიტომ მისი ხარისხი და შესაბამისობა გაიზრდება, თუკი ის უფრო მიზანმიმართული იქნება. გარდა ამისა, პროგრამას სჭირდება კონკრეტულად ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა ჰქონდეს საჭირო კომპეტენციები სტუდენტების დასახმარებლად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფას.

ყოველივე ამის მიუხედავად, უნივერსიტეტი და ამ პროგრამის ამჟამინდელი პერსონალი დიდი ენთუზიაზმით ამუშავებს პროგრამას. ასევე, ნიუუნი არის სტუდენტების მიმართ მეგობრული და სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტი; იგი სტუდენტებს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამებს სთავაზობს, საჭროების შემთხვევაში ეხმარება მათ გადახდის დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით, აცნობს დასაქმების შესაძლებლობებს და ა.შ. სტანდარტი 3 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1.1 რეკომენდებულია, გადაწყდეს თუ რამდენი მიზანი (სამი ან ოთხი) უნდა ჰქონდეს პროგრამას და უფრო მკაფიოდ აღიწეროს ისინი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით.

▪ რეკომენდებულია პროგრამის განვითარება ისე, რომ იგი უფრო მკაფიოდ შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისია 3-ს

1.2 რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება უფრო მოკლე, უფრო მკაფიო ფორმატში

▪ რეკომენდებულია რუკების განახლება

4.1 რეკომენდებულია ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

▪ რეკომენდებულია დოქტორის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა.

▪ რეკომენდებულია პროფესიული კურსების წამყვანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციები და კვალიფიკაცია მეტ შესაბამისობაში იყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

4.4 ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმძღვანელოების რამოდენიმე ეგზემპლარი, სავალდებულო კურსებისთვის მაინც.
• რეკომენდებულია სამუშაო/ სასწავლო აქტივობებისთვის დამატებითი ადგილების და სტუდენტებისთვის დასასვენებელი დარბაზების გამოყოფა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება.

4.5 უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი; იგი უნდა მოიცავდეს მინიმუმ 3 წლიან სრულ ციკლს.

5.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო მეტად უნდა ჩართოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურისა და ა.შ. შემუშავების პროცესში. პროგრამის შემმუშავებელ/ განმახორციელებელ პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის გარანტიას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1.2 სწავლის შედეგების წერისას დაიწყეთ შემდეგნაირად: „პროგრამის/ კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა უნდა და *მოქმედების ზმნა…“* და არ შემოიტანოთ ძალიან ბევრი კომპეტენცია თითოეულ სწავლის შედეგში

1.4 გადახედეთ, შეუძლია თუ არა პროგრამას შესთავაზოს სტუდენტებს უფრო მკაფიო სასწავლო გზები ისე, რომ იგი მაინც მოქნილი დარჩეს სტუდენტებისთვის
1.5 უფრო მეტად გაამახვილეთ პროგრამის ყურადღება კურსებზე, და არა ფსიქოლოგიის ყველაზე გავრცელებულ ქვედისციპლინებზე.
- განიხილეთ, ნაშრომი სავალდებულო უნდა იყოს თუ არა
- დანერგეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები

2.1 განიხილეთ ნაშრომი სავალდებულო უნდა იყოს თუ არჩევითი
- მეტი ყურადღება გაამახვილეთ
- ტრანსფერული უნარების,
- აკადემიური კეთილსინდისიერების განვითარებაზე
3.1 მიეცით სტუდენტებს პორტალზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობა

4.3 შეუწყვეთ ხელი აკადემიურ პერსონალს ჩაერთოს საერთაშორისო პროგრამებში აკადემიური მობილობისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით

5.2 უზრუნველყავით პროგრამის გარე შეფასება საერთაშორისო შემფასებლების მიერ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლად შემუშავებული ფსიქოლოგიის პროგრამისთვის, რომლის სფეროც ახალია უნივერსიტეტისთვის

5.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შექმნას მსგავს პროგრამებთან უფრო ზუსტი შედარებითი ანალიზი. ეს ნიშნავს, რომ ანალიზმა სისტემატურად უნდა წარმოადგინოს და შეადაროს მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროგრამის მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის სამომავლო განვითარების შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

  როგორც ზემოთ აღინიშნა, დასაფასებელია უნივერსიტეტის მოქნილობა და მზადყოფნა დააკმაყოფილოს სტუდენტების სხვადასხვა საჭიროება

- **ინფორმაცია უსდ- ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის აღწერასა და დანართში წარმოდგენილია პროგრამის 4 მიზანი, თუმცა მიზანი 2 და მიზანი 3 იგივეა, ამიტომ პროგრამას ფაქტობრივად აქვს 3 მიზანი.
მიზნები მოიცავს დარგის რამდენიმე სპეციფიკურ სფეროს, თუმცა მკაფიოდ არ იყოფა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიხედვით. პროგრამა ეფუძნება მცირე (5 ECTS) კურსების ძალიან დიდ რაოდენობას, ამიტომ ძნელია იმის დანახვა, ფარავს თუ არა პროგრამა ფსიქოლოგიის დარგის თეორიული, მეთოდოლოგიური, კვლევითი და კონტექსტუალური საკითხების ცოდნას, ანუ რა უნდა იყოს პროგრამისთვის არსებითი ამ სფეროში და ამ დონეზე, და რა - არა.
ეს ასევე ეხება იმ საკითხს, შეიტანს თუ არა პროგრამა წვლილს „გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგის განვითარებაში“ (თვითშეფასების ანგარიში გვ. 7). პროგრამა გარკვეულწილად ზედმეტად დეტალურია, და არ გვაძლევს ნათელ სურათს.

პროგრამის მიზნები ძირითადად შეესაბამება ახალი უმაღლესი სასწავლებლის - NEWUNI- ის 1-ელ და მე-2 მისიებს, მაგრამ არა მე-3, რომელიც უფრო მეტად პერსონალზე არის გამიზნული:

1 ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოებისა და შრომის ბაზრის შესაბამისი დემოკრატიული ღირებულებების, სამოქალაქო შეგნების სწავლება, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათთვის ხარისხიანი ცოდნის მიწოდება;

2 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განვითარება, მათი პირადი და პროფესიული პოტენციალის, შემოქმედებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარების რეალიზება, სტუდენტების წარმატების ხელშეწყობა სხვადასხვა აკადემიური, პროფესიული, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზებით;

3 კვლევითი აქტივობების განვითარება და შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება.

თუმცა, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ პროგრამა შეესაბამება კონკრეტულ მიზან 2-ს „...კვლევითი უნარების განვითარება…“. ეს არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა და, როგორც ასეთი, მან უნდა უზრუნველყოს სტუდენტები ამ უნარების განვითარების შესაძლებლობებით და ასევე მისცეს მათ შესაძლებლობა, განაგრძონ სწავლა სისტემის უფრო მაღალ დონეზე. ეს შეუძლებელი იქნება არასავალდებულო ნაშრომით, რომელიც, არჩევის შემთხვევაშიც, მხოლოდ 10 ECTS-ისგან შედგება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა ფსიქოლოგიაში
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის - NEWUNI მისია
- შრომის ბაზრის მოთხოვნის ანალიზის შედეგები
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაწყდეს თუ რამდენი მიზანი (სამი ან ოთხი) უნდა ჰქონდეს პროგრამას და უფრო მკაფიოდ აღიწეროს ისინი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით
- რეკომენდებულია პროგრამის განვითარება ისე, რომ იგი უფრო მკაფიოდ შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისია 3-ს

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☐	X	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სამი (ოთხი) მიზანი იყოფა პროგრამის სწავლის ათ შედეგად. ესენი არ არის ლოგიკურად დაჯგუფებული ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიხედვით, როგორც ეს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოშია (NQF) განსაზღვრული.
პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან, მაგრამ აქ მიზანი 4, რომელიც მანამდე არ არის წარმოდგენილი, მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგებით 9 და 10.

გარდა ამისა, მიზნები და სწავლის შედეგები არ შეესაბამება ერთმანეთს უფრო დეტალური შემოწმებისას, მაგალითად:
მიზანი 1 - პიროვნების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების *გაცნობა,* განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები; ემპირიული კვლევის მეთოდები, ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტები; უმაღლესი ნერვული სისტემის ინდივიდუალური მახასიათებლები; ქცევის, ემოციების და სწავლის ფიზიოლოგიური მექანიზმები

ეს უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს 1- 4- ს, მაგრამ ვერ ვხვდებით კვლევის ემპრიულ მეთოდებს და ფსიქოდიაგნოსტიკურ ტესტებს:

სწავლის შედეგი 1 განიხილავს თეორიებს, პრინციპებს, ისტორიას და ფსიქოლოგიის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სენსორულ მოდალობას, ძირითად საჭიროებებსა და მოტივებს, პიროვნების სტრუქტურის მახასიათებლებს

სწავლის შედეგი 2 აღწერს პიროვნების ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ ცნებებსა და დებულებებს, გენეტიკურ და სოციალურ ფაქტორებს; უმაღლესი ნერვული სისტემის აქტივობის, ქცევის, ემოციების და სწავლის ინდივიდუალური მახასიათებლების ფიზიოლოგიურ მექანიზმებს

სწავლის შედეგი 3 განსაზღვრავს პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, განვითარებაზე გავლენის მქონე ფაქტორებს, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს.

სწავლის შედეგი 4 აღწერს პიროვნებისა და გარე სამყაროს ურთიერთქმედების პროცესში ქცევის საფუძვლებს, სტრუქტურას, ფორმებს, ტიპებს და კანონზომიერებებს

მთლიანობაში, მიზნებიც და სწავლის შედეგებიც ზედმეტად მკაფიოა, რომ ერთმანეთის შესაბამისად ადვილად შეფასდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნის ანალიზის შედეგები
- საბაკალავრო პროგრამა ფსიქოლოგიაში
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- კურიკულუმის რუკა
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება უფრო მოკლე, უფრო მკაფიო ფორმატში
- რეკომენდებულია რუკების განახლება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სწავლის შედეგების წერისას დაიწყეთ შემდეგნაირად: „პროგრამის/ კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა უნდა და *მოქმედების* ზმნა…“ და არ შემოიტანოთ ძალიან ბევრი კომპეტენცია თითოეულ სწავლის შედეგში

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☐	X	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ყოვლისმომცველი დოკუმენტი სახელწოდებით "NEWUNI- ს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი". მასში ნათქვამია ”პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზანია შეაფასოს სტუდენტის პროგრესი პროგრამის დაგეგმილი სწავლის

შედეგებისკენ და სწავლის შედეგების მიღწევის დონე, შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის“. და რომ „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რეგულარული შეფასება და ამ მეთოდოლოგიის დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი პირისთვის, რომელიც ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში“. ეს დოკუმენტი გამოყენებული იქნა მიმდინარე პროგრამის შემუშავებისას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შეფასებისა და განვითარების სტრუქტურირებულ პროცესს (აღწერილია დაგეგმვის ეტაპი, შეფასების ეტაპი, ანალიზის ეტაპი, განახლების ეტაპი). იგი მოიცავს კურიკულუმის ანალიზისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის პროცესებს, ასევე მიზნების დასახვას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს პროგრამის პერსონალს სწავლის შედეგების განვითარების, შეფასების და ანალიზის უნარების განვითარებაში. პროგრამული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავების პროცესი განხორციელდა სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით. ჩატარდა ტრენინგები და შეხვედრები იმ ინსტრუმენტების შემუშავებისთვის, რომლებიც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, სასწავლო გეგმის რუკისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვისთვის. პროგრამის პერსონალმა ამ პროცესში მუდმივი მხარდაჭერა მიიღო. პერსონალის მხარდაჭერა გაგრძელდება, მათ შორის მხარდაჭერა სწავლის შედეგების შეფასების, ანალიზისა და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვის პროცესში.

მთლიანობაში, განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ახალი უმაღლესი სასწავლებლის – NEWUNI- ს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი/ სასწავლო რუკა
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია უმაღლეს სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურის მეთოდოლოგია“. თუმცა, ეს დოკუმენტი ადგენს, რომ „სწავლის შედეგი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს“, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ და შევაფასეთ სტანდარტში 1.1 და 1.2. გარდა ამისა, ნათქვამია, რომ „სწავლის შედეგების ფორმირებისას უნდა მოიძებნოს სამი წამყვანი ევროპული (მათ შორის პარტნიორი) უნივერსიტეტის მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო პრაქტიკა და სწავლის შედეგები“. ეს არ იყო ნახსენები თვითშეფასების ანგარიშში და ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა ამაზე მკაფიო პასუხის მიღება ადგილზე ვიზიტის დროს.

პროგრამის სტრუქტურა ეყრდნობა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების მეთოდოლოგიას:

- სავალდებულო ნაწილი - 162 კრედიტი (ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო კურსები/ საგნები 112 კრედიტი, მათ შორის ინგლისური სპეციფიკური მიზნებისთვის (ინგლისური ფსიქოლოგებისთვის) 10 კრედიტი; სავალდებულო სტაჟირების კომპონენტი 10 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები/ საგნები 40 კრედიტი, მათ შორის ზოგადი უცხო ენა 20 კრედიტი).

- არჩევითი ნაწილი - 78 კრედიტი (ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო არჩევითი კურსები (34 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით - 10 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტის (44 კრედიტი) არჩევითი კურსები/ საგნები ან/ და სხვა კურსები/ საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან.

თუმცა, რეგულაციების გარდა, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი. უნივერსიტეტის (დადებითი) მიზანი, მისცეს სტუდენტებს მაქსიმალური მოქნილობა საკუთარი პროფილის არჩევანის დროს, გარკვეულ გამოწვევებს აწყდება, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში, როცა სტუდენტური ჯგუფები ძალიან მცირეა. ეს განსაკუთრებით ეხება თავისუფალ კომპონენტს. როგორც წარმოდგენილი იყო, პროგრამა აქ გვთავაზობს 44 ECTS- ს (გარდა სხვა პროგრამებიდან არჩეული კურსებისა). ამ კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს 44 ECTS, მაგრამ ცალკეული სტუდენტები, სავარაუდოდ, მათ სხვადასხვა თანმიმდევრობით აირჩევენ. ამან შეიძლება საორგანიზაციო პრობლემა გამოიწვიოს მცირე ჯგუფებისთვის.

გარდა ამისა, ძნელი მისახვედრია, რატომ არის განთავსებული თავისუფალი კომპონენტის ზოგიერთი კურსი აქ და არა დარგის კომპონენტში. (მაგალითები: მომხმარებელთა ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები, ნარკომანიის პრევენცია, სამხედრო პერსონალის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, კონფლიქტის მართვის სტრატეგიები და ტექნიკა და, ხელოვნების თერაპია). როგორც ჩანს, ეს კომპონენტი ორიენტირებულია ტრანსფერულ კომპეტენციებზე (მაგ. ლიდერობა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება და ა.შ.) და/ ან სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კურსებზე, აღნიშნული კურსები შინაარსზეა ორიენტირებული.

ამ საკითხებს თუ არ გავითვალისწინებთ, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურის მეთოდოლოგია
- დაწესებულების ვებ-გვერდი: www.newuni.edu.ge
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადახედეთ, შეუძლია თუ არა პროგრამას შესთავაზოს სტუდენტებს უფრო მკაფიო სასწავლო გზები ისე, რომ იგი მაინც მოქნილი დარჩეს სტუდენტებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 **საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ცალკეული აკადემიური კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი წარმოდგენილია საჭირო ფორმით შემდეგი დოკუმენტის შესაბამისად „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურის მეთოდოლოგია“, სასწავლო მასალების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.

შინაარსთან დაკავშირებულ საკითხს წარმოადგენს ის, რომ ნაშრომი სავალდებულო არ არის. ამის შედეგად სტუდენტებს არ ექნებათ ის უნარები და შესაძლებლობები, რაც აუცილებელია მცირე კვლევითი პროექტის განსახორციელებლად მათ მომავალ პროფესიულ ცხოვრებაში და ასევე გაუჭირდებათ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება. ამის გამო რთულია საბოლოო დასკვნის გაკეთება, რომ „ძირითადი სასწავლო სფეროს აკადემიური კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას“. პროგრამის სწავლის მე-6 შედეგში აღნიშნულია, რომ სტუდენტს, მაგალითად, სწავლის დასრულების შემდეგ უნდა შეეძლოს პრაქტიკულ-კვლევითი პროექტის მომზადება.

ამ პროგრამის შინაარსის მიხედვით, კრედიტების ძალიან მცირე მოცულობა გადანაწილებულია საგნების ძალიან დიდ რაოდენობაზე. სასურველია ამის გარკვეულწილად შემცირება, რაც სტუდენტებს უფრო მყარ საფუძველს და შესაძლებლობას მისცემს შექმნან საერთო ქვედისციპლინებთან უფრო მკაფიოდ დაკავშირებული პროფილები (საგანმანათლებლო, ორგანიზაციული, კლინიკური, სოციალური, აღქმა და მეხსიერება, ნეირო ფსიქოლოგია და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურის მეთოდოლოგია

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები **(დანართი 1)**
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უფრო მეტად გაამახვილეთ პროგრამის ყურადღება კურსებზე, და არა ფსიქოლოგიის ყველაზე გავრცელებულ ქვედისციპლინებზე.
- განიხილეთ, ნაშრომი სავალდებულო უნდა იყოს თუ არა
- დანერგეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	**X**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული სახელმწიფო სერტიფიკატების მქონე პირებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების (რეიტინგული დოკუმენტის) შედეგების საფუძველზე. გამონაკლისები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნები ეფუძნება ეროვნულ გამოცდებს და მოიცავს ქართულ ენასა და ლიტერატურას, უცხო ენას (ინგლისური, ფრანგული, რუსული, გერმანული), მათემატიკას/ ისტორიას/ ბიოლოგიას.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ (52- ე მუხლის მე-3 პუნქტი) შესაბამისად:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იტვირთება სასწავლებლის ვებგვერდზე და, როგორც ასეთი, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საერთო ჯამში, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა ფსიქოლოგიაში (დანართი 1);
- დაწესებულების ვებგვერდი: www.newuni.edu.ge
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების შინაარსობრივი ცოდნის განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამა მოიცავს 10 ECTS -კრედიტიან სავალდებულო პრაქტიკას. უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები, რათა უზრუნველყოს ადგილები ყველა სტუდენტისთვის და ამით უზრუნველყოს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

არ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარების შესახებ და როგორც სტანდარტში 1.4 არის აღნიშნული, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში გარკვეული კურსები უფრო შინაარსზე არის ორიენტირებული, ვიდრე სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

სტუდენტები გაივლიან აკადემიურ წერას (5 ECTS), ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს (5 ECTS) და კვლევის სტატისტიკურ მეთოდებს SPSS (5 ECTS). სტუდენტებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პრაქტიკულ და სამეცნიერო კონფერენციებში კვლევის უნარების განვითარების მიზნით. თუმცა, საბაკალავრო ნაშრომი მხოლოდ 10 ECTS- ისგან შედგება და ამიტომ საეჭვოა, რომ ასეთი მცირე კრედიტის ფარგლებში შესაძლებელი იყოს სათანადო ემპირიული სამუშაოს შესრულება. ამასთან ერთად, საბაკალავრო ნაშრომი არჩევითია, გაურკვეველია ექნებათ თუ არა ამ პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა განავითარონ სამეცნიერო/ კვლევითი უნარები, რაც მოსალოდნელია ბაკალავრისგან, რომელსაც 240 ECTS აქვს ათვისებული.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, წერითი დავალებები ფასდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამით, მაგრამ აკადემიურ პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების განვითარება, როგორც ჩანს, არცერთ კურსში არ არის გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხელშეკრულების მემორანდუმები ეკონომიკურ სააგენტოებთან/პრაქტიკული მომზადების ორგანიზაციებთან
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ინსტიტუტის ვებგვერდი, სტუდენტური კონფერენციების შესახებ
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- განიხილეთ ნაშრომი სავალდებულო უნდა იყოს თუ არჩევითი
- მეტი ყურადღება გაამახვილეთ
  - ტრანსფერული უნარების,
  - აკადემიური კეთილსინდისიერების განვითარებაზე

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სწავლებისა და სწავლების კონკრეტული მეთოდები დეტალურად არის წარმოდგენილი კურსების სილაბუსებში, მათი შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. დოკუმენტებში

მოცემულია სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები: ლექციები, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსებით სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციები, შემთხვევის შესწავლა და ა.შ. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

კიდევ ერთი დადებითი მხარე არის ის, რომ უნივერსიტეტი არის მოქნილი სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამისათვის განსაზღვრულია მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცესში შესაბამისი პირების ჩართვას.

პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში, ხოლო მათი განმარტებები განთავსებულია ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესის რეგულირება – ნიუუნი– მუხლი 24
- ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტი – ნიუუნი. სწავლებისა და სწავლის მეთოდები და ძირითადი ფორმები (საინფორმაციო რესურსები პერსონალისა და სტუდენტებისთვის)
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულები უნივერსიტეტში საგნების არჩევისა და განაწილების პროცესის შესახებ. მას შემდეგ, რაც სტუდენტი გააკეთებს არჩევანს, მოხერხებულად მიეწოდება განრიგი ელექტრონული სისტემის საშუალებით. აკადემიური პერსონალი და პროგრამის კოორდინატორი აქტიურად ეხმარებიან სტუდენტებს ამ გადაწყვეტილებების მიღებაში, სთავაზობენ მუდმივ მხარდაჭერას. სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუზღუდავად შეუძლიათ მოიძიონ დამატებითი ცნობები ნებისმიერ დროს.

როგორც ინტერვიუებზე აღინიშნა, სტუდენტებს შეუძლიათ დაესწრონ კონსულტაციას დაგეგმილი განრიგით, პირადი საჭიროების შემთხვევაში. უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების არჩევანს, რაც მათ საშუალებას აძლევს აირჩიონ თავიანთი სურვილების შესაბამისი კურსები. სტუდენტის არჩევანის გათვალისწინება ხელს უწყობს მათზე მორგებული და მნიშვნელოვანი აკადემიური გამოცდილების მიღებას.

გარდა ამისა, მართალია, ზოგიერთ სტუდენტს არ აქვს ქულების გასაჩივრების გამოცდილება, მაგრამ სხვა სტუნდეტებისგან იციან ასეთი შესაძლებლობის არსებობის შესახებ. შედეგის/ქულის გასაჩივრება გულისხმობს განცხადების წარდგენას, რომელსაც კომისია განიხილავს. პროგრამის ხელმძღვანელი ერთვება შეფასების პროცესში. ელექტრონული ბაზა ხელმისაწვდომს ხდის როგორც ქულების, ასევე წერილობითი ნაშრომების გასაჩივრებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პროცედურული დეტალების ნიუანსური გაგება, გასაჩივრების პროცესის შესახებ ინფორმირებულობა აძლიერებს სტუდენტების მიერ აკადემიური პროცესის აღქმას.

ყველა პროგრამის შეფასების სისტემა ეფუძნება 100-ბალიან შკალას:

დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
უარყოფითი შეფასება

(FX) - ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, სტუდენტს მეტი შრომა სჭირდება ჩასაბარებლად და ეძლევა გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 და ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტების შეფასება:	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
